

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. გორი

**„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №40 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 25/12/2014; 190020020.35.174.016040) „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 1. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18 589,4	6 129,7	12 459,7	14,071.9	321.9	13,750.0
გადასახადები	1 691,8	0,0	1 691,8	1,400.0	0.0	1,400.0
გრანტები	15 108,6	6 129,7	8 978,9	10,968.6	321.9	10,646.7
სხვა შემოსავლები	1 789,0	0,0	1 789,0	1,703.3	0.0	1,703.3
ხარჯები	12 603,5	449,5	12 154,0	13,670.1	209.0	13,461.1
შრომის ანაზღაურება	1 659,4	0,0	1 659,4	4,503.2	167.4	4,335.8



საქონელი და მომსახურება	2 626,8	8,7	2 618,2	4,794.8	31.1	4,763.7
პირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	49,2	0,0	49,2	20.3	0.0	20.3
სუბსიდიები	7 101,4	300,0	6 801,4	2,100.0	0.0	2,100.0
გრანტები	0,0	0,0	0,0	1,304.6	0.0	1,304.6
სოციალური უზრუნველყოფა	843,5	0,0	843,5	494.0	10.0	484.0
სხვა ხარჯები	323,2	140,9	182,3	453.2	0.5	452.7
საოპერაციო სალდო	5 986,0	5 680,2	305,8	401.8	112.9	288.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7 106,8	5 680,2	1 426,6	2,023.2	1,718.2	305.0
ზრდა	7 246,8	5 680,2	1 566,6	2,153.2	1,718.2	435.0
კლება	140,0	0,0	140,0	130.0	0.0	130.0
მთლიანი სალდო	-1 120,9	0,0	-1 120,9	-1,621.4	-1,605.3	-16.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 307,5	0,0	-1 307,5	-1,836.7	-1,605.3	-231.4
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			0,0	0,0	0,0
კლება	1 307,5	0,0	1 307,5	1,836.7	1,605.3	231.4
ვალუტა და დეპოზიტები	1 307,5	0,0	1 307,5	1,836.7	1,605.3	231.4
ვალდებულებების ცვლილება	-186,6	0,0	-186,6	-215,3	0,0	-215,3
ზრდა						
კლება	186,6	0,0	186,6	215,3	0,0	215,3



საშინაო	186,6	0,0	186,6	215,3	0,0	215,3
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 2. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	18 729,4	6 129,7	12 599,7	14,201.9	321.9	13,880.0
შემოსავლები	18 589,4	6 129,7	12 459,7	14,071.9	321.9	13,750.0
არაფინანსური აქტივების კლება	140,0	0,0	140,0	130.0	0.0	130.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)						
ვალდებულებების ზრდა						
გადასახდელები	20 036,9	6 129,8	13 907,2	16,038.6	1,927.2	14,111.4
ხარჯები	12 603,5	449,5	12 154,0	13,670.1	209.0	13,461.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 246,8	5 680,2	1 566,6	2,153.2	1,718.2	435.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)						



ვალდებულებების კლება						
ნაშთის ცვლილება	-1 307,5	0,0	-1 307,5	-1,836.7	-1,605.3	-231.4

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 3. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14071,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18 589,4	6 129,7	12 459,7	14,071.9	321.9	13,750.0
გადასახადები	1 691,8	0,0	1 691,8	1,400.0	0.0	1,400.0
გრანტები	15 108,6	6 129,7	8 978,9	10,968.6	321.9	10,646.7
სხვა შემოსავლები	1 789,0	0,0	1 789,0	1 703,3		1 703,3

დ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 5. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10968,6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
გრანტები	15 108,6	10,968.6
გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტებიდან	0,0	700.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	15 108,6	10,268.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	8 978,9	10,156.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	8 799,4	9,946.7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	179,5	210.0



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6 129,7	111.9
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	5 829,7	111.9
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		
მგფ-ის თანადაფინანსება		
სხვა პროექტები		
წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია		
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	300,0	
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან		

ე) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 7. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 13 670,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	12 603,5	449,5	12 154,0	13,670.1	209.0	13,461.1
შრომის ანაზღაურება	1 659,4	0,0	1 659,4	4,503.2	167.4	4,335.8
საქონელი და მომსახურება	2 626,8	8,7	2 618,2	4,794.8	31.1	4,763.7
პროცენტი	49,2	0,0	49,2	20.3	0.0	20.3
სუბსიდიები	7 101,4	300,0	6 801,4	2,100.0	0.0	2,100.0
გრანტები	0,0	0,0	0,0	1,304.6	0.0	1,304.6
სოციალური უზრუნველყოფა	843,5	0,0	843,5	494.0	10.0	484.0



სხვა ხარჯები	323,2	140,9	182,3	453.2	0.5	452.7
--------------	-------	-------	-------	-------	-----	-------

ვ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 8. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2023.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2153.2 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	67,4	115,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	201,7	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	6 154,6	2,022.2
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	31,0	0,0
05 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	792,2	15,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	1,0
<b>სულ ჯამი</b>		<b>7 246,8</b>	<b>2,153.2</b>

ბ) განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 130.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	140,0	130,0
ძირითადი აქტივები	140,0	130,0

ზ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 9. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა



ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 130,0	2 864,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 080,8	2 843,7
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 045,8	2 743,7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	35,0	100,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება		
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება		
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	49,2	20,3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში		
702	თავდაცვა	100,0	132,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	912,5	713,8
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა		
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	912,5	713,8
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 093,4	1,778.6
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა		
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა		
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა		
70421	სოფლის მეურნეობა		
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა		
70443	მშენებლობა		
7045	ტრანსპორტი	2 173,0	366,5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 173,0	366,5
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები		
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	920,4	1,412.2
705	გარემოს დაცვა	4 607,1	1,666.9



7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	875,0	64,6
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3 732,1	1 602,3
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა		
706	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	955,0	950,0
7061	ბინათმშენებლობა		
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	110,0	250,0
7063	წყალმომარაგება	212,4	220,0
7064	გარე განათება	524,1	380,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	108,5	100,0
707	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	225,0	225,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	100,0	100,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	125,0	125,0
708	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	5 429,9	4 883,9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3 344,8	2 850,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 055,1	2 003,9
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	30,0	30,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა		
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში		
709	<b>განათლება</b>	1 961,6	2 135,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 961,6	2 100,0
7092	ზოგადი განათლება		35,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება		35,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება		
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში		
710	<b>სოციალური დაცვა</b>	435,8	474,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	112,3	130,8
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	76,7	82,4
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35,6	48,4





7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	1,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1,5	22,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	31,2	47,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	7,7	28,2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	282,1	245,0
<b>სულ ჯამი</b>		<b>19 850,3</b>	<b>15,823.3</b>

თ) დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 10. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1621,4 ათასი ლარის ოდენობით.

ი) დადგენილების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 11. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 1836.7 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1836.7 ათასი ლარის ოდენობით.

კ) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 16. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობისთვის დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მერიაში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ღონისძიებები.

**ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)**

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.



## **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

### **ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღვევლების მოწყობა, გზების დახაზვა, პირობითი საგზაო ნიშნების მოწყობა, დამატებით შუქნიშნების მოწყობა, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე.

#### **ა.ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღვევლების მოწყობა, გზების დახაზვა, პირობითი საგზაო ნიშნების მოწყობა, დამატებით შუქნიშნების მოწყობა.

#### **ა.ბ) ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე (პროგრამული კოდი 03 01 02)**

პროგრამის ფარგლებში ზამთრის სეზონზე გათვალისწინებულია ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ქუჩებში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ქუჩების დამუშავება.

### **ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მუნიციპალური განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება.

#### **ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათებასა და დეკორატიულ განათებაზე დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება.

#### **ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან, ორგანიზაციებიდან და სასაფლაოდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

#### **ბ.გ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურამიშვილის ქუჩის სანიაღვრე არხის და სადგურის დასახლების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის (III ეტაპი) სამუშაოების დასრულება.

#### **ბ.დ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს სასმელი წყლის სოკოებზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურებას და განხორციელდება დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება.

#### **ბ.ე) მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკიოტებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების



უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

**ბ.ვ) ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 07)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო, არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

**ბ.ზ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და მათი მიმდებარე ფართობების ინფრასტრუქტურის განვითარებას.

**გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ-ის „ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამწვანების“ (საიდენტიფიკაციო კოდი-417878568) და ა(ა)იპ-ის „ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერიის გორის სანერგე მეურნეობის“ (საიდენტიფიკაციო კოდი-417878559) მიერ სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა და რეკონსტრუქცია. ასევე იგეგმება შადრევნების, მოსაცდელების, აბრების და მემორიალური დაფების, სპორტული მოედნების მოვლა-შენახვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

**გ.ა) საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)**

წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად იგეგმება ქალაქის გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

**გ.ბ) სანერგე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 05)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გამწვანებისათვის და ქარსაცავი ზოლის მოწყობისათვის საჭირო ნერგების გამოყვანა, დაკალმვა, ნიადაგის მოვლა და დაზიანებული ხეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოები.

**გ.გ) აბრების და მემორიალების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 06)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მემორიალებისა და საცხოვრებელი მისამართების აბრების მოწყობა.

**გ.დ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სახურავების და ლიფტების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 07)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასული წლის ვალდებულების ფარგლებში ქალაქ გორში მოსკოვის ქუჩაზე №1-ბ საერთო საცხოვრებელი სახლის კანალიზაციის რეაბილიტაციის დაფინანსების დავალიანების დაფარვა.

**გ.ე) სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 08)**

დაგეგმილია ახალი სპორტული მოედნის მოწყობა და არსებული სპორტული მიწის მოედნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

**გ.ვ) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 09)**

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.



## **გ.ზ) გორის გრაფიკული ვიზუალიზაციისთვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 10)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

## **გ.თ) მუნიციპალიტეტის გამწვანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 11)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სკვერების და გაზონების მოვლა, ახალი მწვანე ნარგავების შექმნა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

## **გ.ი) კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 12)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან, ორგანიზაციებიდან და სასაფლაოდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარული დამუშავება (პერიოდულად); ქალაქის იერსახის შენარჩუნების და შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათების სისტემის და შენობა-ნაგებობების დეკორატიული განათების მოწყობა-ექსპლოატაცია; ქალაქის სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები; ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე; შადრევნების გაწმენდა და რეაბილიტაცია; ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია; სკვერების და გაზონების მოვლა, მწვანე ნარგავების შექმნა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

## **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

### **ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 2900 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება გათვალისწინებულია ვაუჩერული სისტემით, კერძოდ: იმ ბაგა-ბაღში სადაც ირიცხება 1-დან 30 ბავშვის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი თვეში, ხოლო იმ საბავშვო ბაგა-ბაღში, სადაც ირიცხება 30 ბავშვზე ზემოთ თითოეულ ბავშვზე 60(სამოცი) ლარი თვეში. იმ საბავშვო ბაგა-ბაღებში დაფინანსება, სადაც ირიცხება 10 და ნაკლები ბავშვი დაფინანსება მოხდეს არანაკლებ თვეში 800 (რვაასი) ლარით.

### **ბ) მოსწავლე ახალგაზრდობის წახალისებისა და სკოლებში კლასგარეშე აქტივობების თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელების, აქტუალური თემებისა და პროექტების წარმოწვევისა და მათი დაგეგმვა-პრეზენტაციის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საჯარო სკოლების ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია. აგრეთვე, დამამთავრებელი კლასების წარჩინებული მოსწავლეების ფინანსური წახალისება (ეროვნულ გამოცდების შედეგების გათვალისწინებით).

## **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

### **ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული



თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

#### **ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა სპორტსმენებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭიდაობის, კრივის და ფეხბურთის სფეროში წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება.

#### **ა.ბ) სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცენტრალური სასპორტო, კრივის სპეციალიზირებული და საჭიდაო კომპლექსური სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კალენარულ ტურნირებში და აღწევენ მაღალ შედეგებს.

#### **ა.გ) საჭიდაო დარბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

სპორტული ტრადიციებიდან გამომდინარე ქალაქში ჭალა-წყაროსუბნის დასახლების ტერიტორიაზე აშენდა საჭიდაო დარბაზი, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ტრადიციების შენარჩუნებას, არამედ გაზრდის ამ სახეობის სპორტსმენთა რაოდენობას და სპორტულ შედეგებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საჭიდაო დარბაზის არაკომერციულ(არასამწარმოო) იურიდიულ პირად დაფუძნება და მისი ფუნქციონირებისათვის ფინანსური ხელშეწყობა.

#### **ა.დ) საცურაო აუზის და მოცურავე თანრიგოსან ბავშვთა სპორტული ჯგუფის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)**

ცურვის მიმართულებით გამორჩეული სპორტული მონაცემების მქონე მოზარდთა სპორტული წარმატებების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მოცურავეთა სპორტული ჯგუფის დაფინანსება, რათა მათ ქონდეთ სათანადო სავარჯიშო პირობები საცურაო აუზზე. სპორტული ჯგუფი დაკომპლექტებულია 34 თანრიგოსანი მოზარდით.

#### **ა.ე) ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბ დილას“ (საიდენტიფიკაციო კოდი-417874973) ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კლუბთან არსებული საფეხბურთო სკოლის ადმინისტრაციის მიმდინარე ხარჯების სუბსიდირება. კლუბთან ფუნქციონირებს ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლა და სტადიონი, რომელთა მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური და სპორტული ღონის ამაღლება აღსაზრდელებში, პერსპექტიული სპორტსმენების მზადება ნაკრები გუნდებისათვის და სათამაშო სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.

#### **ა.ვ) სპორტული ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)**

დაგეგმილია სპორტული ცენტრის სრულად აღჭურვა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით, რათა სრულად განახორციელოს სპორტული ღონისძიებების და ცენტრალური სასპორტო სკოლის, საჭიდაო სკოლის, კრივის სკოლის და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის ტურიზმის ცენტრი „ტონთიო“-ს აღსაზრდელთა სხვადასხვა ტურნირებში, ლაშქრობებში, ალპინიადებში და ჩემპიონატებში მონაწილეობის ორგანიზება.

#### **ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის, მუსიკალური კოლექტივების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.



## **ბ.ა) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საახალწლოდ ატრაქციონის ქირავნობა(ვალდებულების ფარგლებში).

## **ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

## **ბ.გ) ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ ინტელექტუალური დონის ამაღლების, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და არსებული წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

## **ბ.დ) მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალგაზრდობისათვის იმ ცოდნისა და ქცევის ნორმების შექმნას რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ხელს უწყობს მოზარდთა ინტერესების შესაბამისად სამეცნიერო-შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური მიმართულებებით მოქნილი პროგრამების შემუშავება-განხორციელებას და აქტიური ინტელექტუალური ახალგაზრდობის გამოვლენას. ასევე პროგრამა ხელს უწყობს მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ცენტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში გასართობი სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზებას.

## **ბ.ე) გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული საგანძურის დაცვას, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენას, მოძიებას, კვლევა-შენახვასა და სამეცნიერო შესწავლას.

## **ბ.ვ) ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შენობის დაცვა.

## **ბ.ზ) მწერალთა სახლის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლიტერატურული კონსულტაციების გაცემა, მწერალთა შემოქმედებითი სადამოების ორგანიზება, ლიტერატურული ნაშრომების პრეზენტაცია, მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების მეშვეობით.

## **ბ.თ) საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვადასხვა სფეროში.

## **ბ.ი) გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 09)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა.

## **ბ.კ) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 10)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას საქართველოში ან/და სხვა სახელმწიფოში არსებულ: არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების განსახორციელებლად, რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.



## **ბ.ლ) გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 11)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, მათი მეშვეობით თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, თეატრალური ხელოვნების განვითარება და ტრადიციების აღორძინება.

## **ბ.მ) მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 12)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლ „გორის“ და ქალთა კამერული გუნდის ფინანსური მხარდაჭერა, რადგან მათ მიერ ხდება ქართული სამუსიკო ტრადიციების პოპულარიზაცია, როგორც მთელ საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ ჩატარებული მრავალი წარმატებული კონცერტის მეშვეობით.

## **ბ.ნ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბადის“ (საიდენტიფიკაციო კოდი-417873769) ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 13)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სუბსიდია ა(ა)იპ-ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბადის“ ადმინისტრაციული ხარჯებისათვის, რომელიც ახორციელებს დამსვენებლების მომსახურებას სხვადასხვა გასართობი საშუალებებით.

## **გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობების და ალპინიადების მოწყობა.

## **გ.ა) ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის ტურიზმის ცენტრ „ტონთიო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-218071084) ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 01)**

